



ა უ დ ი ტ ო რ უ ლ ი დ ა ს კ ე ნ ა

№5/11-1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ
2008 წელს გაწეული საფინანსო საქმიანობის შესახებ

აუდიტორული ფირმა შპს „აუდიტ-ექსტრა“-ს აუდიტორმა ს.ხარქუამ (ლიცენზია №263, სერთიფიკატის №ზ№4/138 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2008 წლის 9 თებერვალის №64 მომართვის შესაბამისად მოვახდინე წალენჯიხის მონიციპალიტეტის გამგეობის 2008 წლის საფინანსო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება.

შემოწმება ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი საფინანსო დოკუმენტაციებზე დაყრდნობით, რომელთა სისწორეზე პასუხისმგებელია წალენჯიხის მონიციპალიტეტის საფინანსო სამსახური.

წალენჯიხის მონიციპალიტეტის 2008 წლის ბიუჯეტი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა. 2008 წლის 28 თებერვალის №6 დადგენილებით, რომლის მიხედვით განისაზღვრა 2008 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში 2330.0 ათ. ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 1440.0 ათ.ლარით, არასაგადასახადო შემოსავლების 248.0 ათ. ლარით და შემოსავლები კაპიტალური ოპერაციებიდან 181.3 ათ. ლარით, გრანტები 451 ათ.ლარით.

დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები), წლის დასაწყისში არსებული სახსრების ნაშთის 9.7 ათ. ლარის გათვალისწინებით 2330 ათ.ლარით.

წლის განმავლობაში სხვადასხვა პერიოდში 4-ჯერ იქნა ცვლილება შეტანილი დამტკიცებულ ბიუჯეტში, კერძოდ, პირველი ცვლილება შეტანილ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 12 მარტის №10 დადგენილებით, რომლის მიხედვით „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2008 წლის ბიუჯეტის შესახებ“ 2008 წლის 28 თებერვლის №6 დადგენილებით განსაზღვრულმა პარამეტრებმა არსებითი ცვლილებები განიცადა, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში განისაზღვრა 3681.8 ათ.ლარით. მათ შორის, მათ

შორის საგადასახადო შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 1440.0 ათ.ლარით, არასაგადასახადო შემოსავლების 248.0 ათ. ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული არასაგადასახადო შემოსავლების 1802.8 ათ.ლარით და შემოსავლები კაპიტალური ოპერაციებიდან 181.3 ათ. ლარით.

შესაბამისად დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები) 3681.8 ათ.ლარით.

შემდგომი ცვლილება ბიუჯეტში შევიდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 30 ივნისის №16 დადგენილებით. რადგანაც, "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2008 წლის ბიუჯეტის შესახებ" 2008 წლის 28 თებერვლის №6 დადგენილებით განსაზღვრულმა პარამეტრებმა განვლილ პერიოდში არსებითი ცვლილებები განიცადა. ბიუჯეტის აღსრულების პერიოდში ცენტრალურმა ხელისუფლებამ დამატებით გადმოსცა ადგილობრივ ბიუჯეტს 1961.8 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით აღნიშნული თანხა მიზნობრივად განკუთვნილი იყო შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:

- ა) შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები
- ბ) გარე განათების სამუშაოები
- გ) წყალსადენის მაგისტრალური და შიდა ქსელის რემონტი
- დ) საცხოვრებელი კორპუსების საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება
- ე) გადახურვის სამუშაოები, ხიდებისა და ბოგირების სარემონტო სამუშაოები
- ვ) ნიაღვარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება
- ზ) სპორტული მოედნების მოწყობა
- თ) სოფ. ღია, ფახულანის ხიდი
- ყ) ნაკიფუს, საჩინოს და ჯვარის III საჯარო სკოლების რემონტი
- ფ) სოფელ ჭალესა და ქ. ჯვარის ბიბლიოთეკების რემონტი

გამომდინარე აქედან „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 6 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 17-ე მუხლის შესაბამისად და „ნორმატიული აქტების შესახებ“ მუნიციპალიტეტის 2008 წლის 28 თებერვლის №6 დადგენილებაში შეტანილ იქნას ცვლილებები და დამტკიცებულ იქნა 2008 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში 4661.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის

1750.0 ათასი ლარის ოდენობით, არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა – 248.0 ათასი ლარის ოდენობით, კაპიტალური ოპერაციებიდან – 221.3 ათასი ლარის ოდენობით, გრანტები – 2727.8 ლარის ოდენობით.

დამტკიცებულ იქნას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები /ხარჯები/ 4956.8 ათასი ლარის ოდენობით.

შემდგომი ცვლილება ბიუჯეტში რაიონის გამგეობის მიერ საკრებულოს წარედგინა 2009 წლის 27 იანვარს, რომელიც საკრებულომ 2009 წლის 5 თებერვალის № 5 განკარგულებით ცნობა მიიღო და მოსთხოვა გამგეობას წარედგინა განმარტებითი ბატათი ბიუჯეტში ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებისა დამისი ვადის დარღვევით შეტანის გამო. 2008 წლის ბიუჯეტში ცვლილება რაიონის საკრებულომ დაამტკიცა 2009 წლის 27 თებერვალის №5 დადგენილებით. 2009 წლის 27 დეკემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №7 განკარგულებით დაევადა მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპის კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმართვაზე, კონტროლი ბიუჯეტისა და მისი პროექტების მომზადებაზე, შესრულებაზე და ანგარიშგებაზე. საბიუჯეტო პროცესის მონაწილე თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის დაწესებით.

ბიუჯეტის ცვლილების შეტანა გამოწვეული იყო იმ გარემოებით რომ, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 აგვისტოს №547 განკარგულებით აღგილობრივ ბიუჯეტს გადმოეცა 30 000 ლარი, ხოლო „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წლის 23 დეკემბერს შეტანილი №834 ცვლილების შესაბამისად – 140 000 ლარი.

აღნიშნული თანხები მიზნობრივად განკუთვნილი იყო შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად

1. 30 000 ლარი – აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად
2. 140 000 ლარი – 2008 წლის განმავლობაში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ აღებული ვალდებულებების დასაფარავად.

გამომდინარე აღნიშნულიდან დამტკიცებულ იქნა 2008 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში 2009 წლის 27 თებერვალს 4870.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 1644.0 ათასი ლარის ოდენობით, არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა - 194.3 ათასი ლარის ოდენობით, კაპიტალური ოპერაციებიდან - 126.8 ათასი ლარის ოდენობით, გრანტები - 2895.8 ლარის ოდენობით.

დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები /ხარჯები/ 4870.6 ათასი ლარის ოდენობით.

2008 წლის დაზუსტებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 100 %-ით, (დამტკიცებული 2330.0 ათ ლარი, დაზუსტებული 4870.6 ათ. ლარი, საკასო შესრულება 4870.3, ათ ლარი) აქედან საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა 100 %-ით (დამტკიცებული 1440 ათ. ლარი, დაზუსტებული 1644.0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 1644.0 ათ. ლარი.) მათ შორის საშემოსავლო გადასახადი 99 % დამტკიცებული არ იყო, დაზუსტებული 2.0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 2.1 ათ. ლარი), ადგილობრივი გადასახდელები 100 %-ით დამტკიცებული 1440.0 ათ. ლარი, დაზუსტებული 1642.0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 1642 ათ. ლარი), აქედან საწარმოთა ქონების გადასახადი 100 %-ით დამტკიცებული 1334.0 ათ. ლარი, დაზუსტებული 1635.2 ათ ლარი, საკასო შესრულება 1635.1 ათ. ლარი), მიწის გადასახდი 100 %-ით დამტკიცებული 100.0 ათ. ლარი, დაზუსტებული 105.2 ათ. ლარი, საკასო შესრულება 105.2 ათ. ლარი) და სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი გადასახადი 100 %-ით დამტკიცებული არ იყო, დაზუსტებული 6.8 ათ. ლარი, საკასო შესრულება 6.8 ათ. ლარი).

არასაგადასახადო შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შესრულდა 99.8 %-ით (დამტკიცებული 248.0 ათ ლარი, დაზუსტებული 194.3 ათ. ლარი, საკასო შესრულება 193.9 ათ. ლარი), მათ შორის სახელმწიფო ბაჟი 100 %-ით დამტკიცებული 1.0 ათ ლარი, დაზუსტებული 0.4 ათ. ლარი, საკასო შესრულება 0.4 ათ. ლარი), სატენდერო მოსაკრებელი 93.8 %-ით (დამტკიცებული 3.0 ათ. ლარი, დაზუსტებული 0.8 ათ. ლარი, საკასო შესრულება 0.75 ათ. ლარი), ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 99.8 %-ით (დამტკიცებული 210.0 ათ. ლარი, დაზუსტებული 128 ათ. ლარი, საკასო შესრულება 127.8 ათ. ლარი), ადგილობრივი მოსაკრებელი 100 %-ით (დამტკიცებული 6.0 ათ. ლარი, დაზუსტებული 13.6 ათ. ლარი, საკასო შესრულება 13.6 ათ. ლარი), სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართვაში გადაცემიდან შემოსავლის გეგმა 100 %-ით (დამტკიცებული 18.0 ათ. ლარი, დაზუსტებული 21.4 ათ. ლარი, საკასო შესრულება 21.3 ათ. ლარი), ადგილობრივი ორგანოს შესაბამისი სამსახურების მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები 99.8 %-ით (დამტკიცებული არ იყო, დაზუსტებული 1.9 ათ. ლარი, საკასო

შესრულება 1.8ლარი), ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავლები 100 %-ით(დამტკიცებული 10.0 ათ.ლარი, დაზუსტებული 28.2 ათ. ლარი, საკასო შესრულება 28.2 ათ ლარი),

კაპიტალური ოპერაციებიდან შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შესრულდა 100 %-ით.(დამტკიცებული გეგმა 181.3 ათ.ლარი,დაზუსტებული 126.8 ათ.ლარი,საკასო შესრულება 126.8 ათ.ლარი)

გრანტებიდან მიღებული შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შესრულდა 100%-ით (დამტკიცებული 451.0ათ. ლარი, დაზუსტებული 2895.8 ათ. ლარი, საკასო შესრულება 2895.8 ათ.ლარი).

დაზუსტებული ხარჯების გეგმა შესრულებულ იქნა 99 %-ით (გეგმა 4870.6.ათ.ლარი, საკასო ხარჯი 4826.2 ლარი), ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების დაზუსტებული გეგმა შრომის ანაზღაურების მუხლში შერუღდა 100 %-ით (გეგმა 521.0 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 520.9 ათ. ლარი), მივლინების ხარჯების გეგმა შესრულდა 99.8 %-ით (გეგმა 9.9ათ. ლარი, საკასო ხარჯი 9.8ათ. ლარი), ოფისის ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 42 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 42ათ. ლარი),* კომუნალური მომსახურების ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 38.7 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 38.7 ათ. ლარი), ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და შენახვის ხარჯების გეგმა 100 %-ით (გეგმა -63.6 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 63.5 ათ. ლარი), სხვა ხაჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 180.7 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 179.8 ათ. ლარი). კაპიტალური ხაჯების გეგმა შესრულდა 98.4 %-ით (გეგმა 2710.8 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 2668.8 ათ.ლარი),

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად არის განაწილებული: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების გეგმა შესრულდა 99.9 %-ით (გეგმა 636.8 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 636.3 ათ. ლარი), აქედან მუხლობრივად : შრომის ანაზღაურების ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა -394.8 ათ ლარი, საკასო ხარჯი 394.8 ლარი), მივლინების ხარჯები 100 %-ით (გეგმა 7.0 ათ. ლარი, საკასო ხარჯი -7.0 ათ. ლარი), ოფისის ხარჯები 100 %-ით (გეგმა -36.8 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 36.8 ათ. ლარი), კომუნალური მომსახურების ხარჯები 100 %-ით (გეგმა 33.8 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 33.8 ათ. ლარი), ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის მოვლა-შენახვის ხარჯები 100 %-ით (გეგმა 39.9 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 39.9 ათ. ლარი), სხვა ხაჯები 99.7 %-ით (გეგმა 111.2 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 110.9 ლარი), სუფსიდირების ხარჯების გეგმა 100 %-ით (გეგმა 13.2 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 13.2ათ. ლარი) მათ შორის მხარჯავი ორგანიზაციების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირადაა განაწილებული: წარმომადგენლობითი ორგანოების ხარჯების გეგმა შესრულდა 99.9 %-ით (გეგმა 184.4 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 184.3ათ. ლარი), აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების გეგმა შესრულდა 99.9 %-ით (გეგმა 404.7 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 404.3 ათ. ლარი).

ბანკის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 10.0 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი 10.0 ათ. ლარი) , ბანკის მომსახურების ხარჯები გაწეულია ს.ს სახალხო ბანკის წალენჯიხის ფილიალთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც

განსაზღვრული იყო ბანკის მომსახურებაზე ფიქსირებული წლიური 12000 ლარი. შედარებისათვის 2007 წელს საბანკო მომსახურების ხარჯი შეადგენდა 12000 ლარს.

სარეზერვო ფონდის ხარჯების გეგმა შესრულდა 83.5 %-ით (დამტკიცებული გეგმა 90 ათ. ლარი, საკასო შესრულება 75.2 ათ. ლარი), საქართველოს ოგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 51-ის მ2-4 პუნქტის მიხედვით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას სარეზერვო ფონდი გაუთვალისწინებელი და საგანგებო ხარჯების დაფინანსების მიზნით, სარეზერვო ფონდის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თვითმმართველი ერთეულის ხარჯების 2%-ს, რაც დაცულია. სარეზერვო ფონდიდან 4300 ლარი გაიცა აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ოჯახების დახმარება. სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება 6300 ლარი. სტიქის სალიკვიდაციოდ შესასრულებელ სამუშაოებზე 45000 ლარი. მოსახლეებზე ერთდროული დახმარება 2400 ლარი და საომარი მიქმედებების დროს გახარჯული საწვავის ღირებულება 17129 ლარი (არის რაიონის გამგებლის ბრძანება კომისიის შექმნაზე. კომისიის დასკვნა საწვავის მიმღებ თითოეული პიროვნების მიერ გახარჯულ საწვავზე.)

არქივის ხარჯების გეგმა შესრულდა 99.7%-ით (გეგმა 25.2 ათ. ლარი, საკასო ხარჯები 25121 ლარი.) მაჟორიტარი დეპუტატის ხარჯების გეგმა 100%-ით (გეგმა 12.5 ათ. ლარი, საკასო ხარჯები 12.5 ათ. ლარი)

თავდაცვის ხარჯების გეგმა დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 99.4%-ით (დაზუსტებული 47.5 ათ. ლარი, საკასო შესრულება 47.2 ათ. ლარი) თავდაცვის ხარჯები მთლიანად სამხედრო განყოფილებაზეა გაწეული. აქედან მუხლობრივად: შრომის ანაზღაურების ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 26.7 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი 26.7 ათ. ლარი), მივლინების ხარჯების 100%-ით (გეგმა 2.8 ათ. ლარი, ხარჯი 2.8 ათ. ლარი) ოფისის ხარჯების 100%-ით (გეგმა 4.2 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი 4.2 ათ. ლარი), ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის ხარჯები 100%-ით (გეგმა 5.2 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი 5.2 ათ. ლარი), სხვა ხარჯების 96.2%-ით (გეგმა 8.1 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი 7.8 ათ. ლარი)

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯების გეგმა დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 100 % -ით. (დაზუსტებული 209.4 ათ. ლარი , საკასო შესრულება 209.3 ათ. ლარი) აქედან პოლიციის საქმიანობასთან და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით. (გეგმა 74.9 ათ. ლარი, საკასო შესრულება 74.9 ათ. ლარი, რაც მთლიანად კაპიტალურ ხარჯს შეადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ხარჯების გეგმა შესრულდა 100% -ით. (გეგმა 134.5 ათ. ლარი, საკასო შესრულება 134.5 ათ. ლარი), აქედან მუხლობრივად: შრომის ანაზღაურების ხარჯების გეგმა შესრულდა 100% -ით (გეგმა 99.5 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 99.5 ათ. ლარი), კომუნალური ხარჯები გეგმით გასაწევი იყო 4290 ლარი ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 4282 ლარი. ოფისის ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 1040 ლარი, ხარჯი 1032 ლარი), ტრანსპორტისა

და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის ხარჯები 100 %-ით. (გეგმა 18560 ლარი, ფაქტიური ხარჯი 18559 ლარი) სხვა ხარჯების 100 %-ით (გეგმა 11050 ლარი ფაქტიური ხარჯი 11048 ლარი).

ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ხარჯების გეგმა შესრულდა 99.9 %-ით (გეგმა 329.4 ათ. ლარი, საკასო შესრულება 329 ათ.ლარი) აქედან სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობის ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 17.4 ათ. ლარი, საკასო შესრულება 17.3 ათ.ლარი), რაც მთლიანად სხვა ხარჯების მუხლით არის გაწეული. ტრანსპორტის ხარჯების გეგმა შესრულდა 99.9 %-ით (გეგმა 312.0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 311.7 ათ. ლარი), საიდანაც სხვა ხარჯების გეგმა შესრულდა 99.9 %-ით (გეგმა 33 ათ.ლარი, ხარჯი 32.7 ათ.ლარი) კაპიტალური ხარჯის 100%-ით.(გეგმა 279 ათ.ლარი, ხარჯი 279 ათ.ლარი) კაპიტალური ხარჯი მთლიანად ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა რეკონსტრუქცია და ექსპლუატაციაზეა გაწეული.

საბინაო კომუნალური მეურნეობის ხარჯების გეგმა შესრულდა 97.9 %-ით (გეგმა 1990.3 ათ ლარი, საკასო ხარჯი 1948.3 ათ. ლარი), რაც მთლიანად სუბსიდირებიდან არის გაწეული, მათ შორის კომუნალური მეურნეობის ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 129.7 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 129.7 ათ. ლარი), წყალმომარაგების ხარჯების 99.9 %-ით (გეგმა 605.5 ათ. ლარი, შესრულება 605.1 ათ. ლარი), გარე განათების 100 %-ით (გეგმა 162.6 ათ. ლარი, ხარჯი 162.5 ათ. ლარი), ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმა შესრულდა 96.2 %-ით (გეგმა 1092.5 ათ.ლარი, ხარჯი 1051 ათ. ლარი).

ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 65.8 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 65.7 ლარი).

დასვენება კულტურა და რელიგიის ხარჯების გეგმა დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 100 %-ით (გეგმა 489.4 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 489.2 ათ. ლარი).

განათლების ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 967.4 ათ ლარი, შესრულება 967.4 ათ.ლარი).

სოციალური დაცვის ხარჯების გეგმა შესრულდა 99.5%-ით (გეგმა 134.6 ლარი, ფაქტიური ხარჯი 133.9 ლარი).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2008 წლის ბიუჯეტში ბოლო ცვლილება შეიტანა 2009 წლის 27 თებერვალს, იუსტიციის სამინისტრომ ცვლილება რეგისტრაციაში გაატარა 2009 წლის 9 მარტს. „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნათა შესაბამისად ბიუჯეტში ცვლილება უნდა განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი გაკეთებულ იქნა 2008 წლის 21 ოქტომბერს ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, რაც ბიუჯეტის შემოსულობებსა და ხარჯებს ვერ ასახავს რეალურად, რადგანაც ცენტრალური ბიუჯეტიდან 2008 წლის 27 დეკემბერს მიღებულ იქნა 170 ათ.ლარი, მიზნობრივი პროექტების დასაფინანსებლად (რომლითაც დაფინანსდა სოციალური ხარჯები 30 ათ.ლარით, ხოლო 140 ათ.ლარი მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად)

ანალიზის განხორციელებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2008 წლის 28 ნოემბერის №397 ბრძანება, რომლის მიხედვითაც ბიუჯეტით ტრანსპორტზე დამტკიცებული ასიგნებიდან 66.5 ათ.ლარი გადატანილ იქნა გარე განათების ხარჯებში 20000 ლარი, წყალმომარაგების ხარჯებში 17700 ლარი.

2008 წლის დაზუსტებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 98.2 %-ით, (დამტკიცებული 2330.0ათ ლარი, დაზუსტებული 4956.8 ათ. ლარი, საკასო შესრულება 4870.3 ათ ლარი) აქედან საგადასახდლო შემოსავლების გეგმა შესრულდა 93.9 %-ით (დამტკიცებული 1440ათ. ლარი, დაზუსტებული 1750.0ათ. ლარი, საკასო შესრულება 1644.0ათ. ლარი.) მათ შორის საშემოსავლო გადასახადი 99 % დამტკიცებული არ იყო, დაზუსტებული 2.0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 2.1ათ. ლარი), ადგილობრივი გადასახადელები 93.8%-ით დამტკიცებული 1440.0ათ. ლარი, დაზუსტებული 1750.0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 1642 ათ.ლარი), აქედან საწარმოთა ქონების გადასახადი 99.4 %-ით დამტკიცებული 1334.0ათ.ლარი, დაზუსტებული 1644 ათ ლარი, საკასო შესრულება 1635.1 ათ. ლარი), მიწის გადასახდი 100 %-ით დამტკიცებული 100.0 ლარი, დაზუსტებული 105.2 ლარი, საკასო შესრულება 105.2 ათ.ლარი) და სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი გადასახადი 100 %-ით დამტკიცებული და დაზუსტებული არ იყო, საკასო შესრულება 6.8 ათ.ლარი).

არასაგადასახდლო შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შერულდა 78.2 %-ით (დამტკიცებული 248ათ ლარი, დაზუსტებული 248 ათ. ლარი, საკასო შესრულება 193.9ათ. ლარი), მათ შორის სახელმწიფო ბაჟი 100 %-ით დამტკიცებული 1.0ათ ლარი, დაზუსტებული 0.4 ათ. ლარი, საკასო შესრულება 0.4 ათ. ლარი), სატენდერო მოსაკრებელი 25 %-ით (დამტკიცებული 3.0ათ. ლარი, დაზუსტებული 3 ათ. ლარი, საკასო შესრულება 0.75 ათ. ლარი), ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 60.9 %-ით (დამტკიცებული 210.0ათ. ლარი, დაზუსტებული 210 ათ. ლარი, საკასო შესრულება 127.8 ათ. ლარი), ადგილობრივი მოსაკრებელი 226.7 %-ით(დამტკიცებული 6.0ათ.ლარი, დაზუსტებული 6.0ათ.ლარი, საკასო შესრულება 13.6 ათ. ლარი), სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართვაში გადაცემიდან შემოსავალის გეგმა 118.3 %-ით (დამტკიცებული 18.0 ათ. ლარი, დაზუსტებული 18 ათ. ლარი, საკასო შესრულება 21.3 ათ. ლარი), ადგილობრივი ორგანოს შესაბამისი სამსახურების მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები (დამტკიცებული და დაზუსტებული არ იყო, საკასო შესრულება 1.8ლარი), ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავლები 282 %-ით(დამტკიცებული 10.0 ათ.ლარი, დაზუსტებული 10 ათ. ლარი, საკასო შესრულება 28.2 ათ ლარი), კაპიტალური ოპერაციებიდან შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შესრულდა 57.3 %-ით.(დამტკიცებული გეგმა 181.3 ათ.ლარი,დაზუსტებული 221.3 ათ.ლარი,საკასო შესრულება 126.8 ათ.ლარი) გრანტებიდან მიღებული შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შესრულდა 106.2%-ით (დამტკიცებული 451.0ათ. ლარი, დაზუსტებული 2727.8 ათ. ლარი, საკასო შესრულება 2895.8 ათ.ლარი),

2008 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე ე.ი. 2008 წლის იანვარ-თებერვალის თვეებში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა შესაბამისად 93.5 ათ

ლარიდა 103.8 ათ.ლარი. რაც 2007 წლის ასიგნების 1/12-ს არ აღემატება. (2007 წლის ასიგნება შეადგენდა 2735 ათ ლარს).

დაზუსტებული ხარჯების გეგმა შესრულებულ იქნა 97.4 %-ით (გეგმა 4956.8.ათ.ლარი, საკასო ხარჯი 4826.2 ლარი), ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების დაზუსტებული გეგმა შრომის ანაზღაურების მუხლში შესრულდა 88.2 %-ით (გეგმა 590.5 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 520.9 ათ. ლარი), მივლინების ხარჯების გეგმა შესრულდა 46.7 %-ით (გეგმა 21 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 9.8ათ. ლარი), ოფისის ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 42 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 42ათ. ლარი), კომუნალური მომსახურების ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 38.7 ატ.ლარი, საკასო ხარჯი 38.7 ათ. ლარი), ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და შენახვის ხარჯების გეგმა 100 %-ით (გეგმა 63.6 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 63.5 ათ. ლარი), სხვა ხაჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 180.7 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 179.8 ათ. ლარი). კაპიტალური ხაჯების გეგმა შესრულდა 98.4 %-ით (გეგმა 2710.8 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 2668.8 ათ.ლარი).

ფუნქციონალურ კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯები შემდეგნაირია განაცხადებული: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების გეგმა შესრულდა 79 %-ით (გეგმა 805.7 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 636.3 ათ. ლარი), მათ შორის მხარჯავი ორგანიზაციების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირადაა განაცხადებული: წარმომადგენლობითი ორგანოების ხარჯების გეგმა შესრულდა 89 %-ით (გეგმა 207.5 ათ.ლარი, საკასო ხარჯი 184.3ათ. ლარი), აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების გეგმა შესრულდა 88 %-ით (გეგმა 404.7 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 404.3 ათ. ლარი).

ბაკის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა 10.0 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი 10.0 ათ. ლარი) , ბანკის მომსახურების ხარჯები გაწეულია ს.ს სახალხო ბანკის წალენჯიხის ფილიალთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც განსაზღვრული იყო ბანკის მომსახურებაზე ფიქსირებული წლიური 12000 ლარი. შედარებისათვის 2007 წელს საბანკო მომსახურების ხარჯი შეადგენდა 12000 ლარს.

სარეზერვო ფონდის ხარჯების გეგმა შესრულდა 85%-ით (დამტკიცებული გეგმა 90ათ. ლარი, საკასო შესრულება 75.2 ათ. ლარი), საქართველოს ოგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 51-ის მ2-4 პუნქტის მიხედვით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას სარეზერვო ფონდი გაუთვალისწინებელი და საგანგებო ხარჯების დაფინანსების მიზნით, სარეზერვო ფონდის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თვითმმართველი ერთეულის ხარჯების 2%-ს, რაც დაცულია.სარეზერვო ფონდიდან 4300 ლარი გაიცა აგვისტოს მოვლენების დროს დადუკულთა ოჯახების დახმარება.სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება 51300 ლარი. ერთდროული დახმარება 2400 ლარი და საომარი მიქმედებების დროს გახარჯული საწვავის ღირებულება 17129 ლარი (არის რაიონის გამგებლის ბრძანება კომისიის სექმნაზე. კომისიის დასკვნა საწვავის მიმღებ თითოეული პიროვნების მიერ გახარჯულ საწვავზე.)

არქივის ხარჯების გეგმა შესრულდა 100.5%-ით (გეგმა 25.0 ათ.ლარი, საკასო ხარჯები 25121 ლარი.) მაჟორიტარი დეპუტატის ხარჯების გეგმა 100%-ით (გეგმა 12.5 ათ. ლარი, საკასო ხარჯები 12.5 ათ. ლარი).

თავდაცვის ხარჯების გეგმა დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 99.4%-ით (დაზუსტებული 50 ათ.ლარი, საკასო შესრულება 47.2 ათ.ლარი) თავდაცვის ხარჯები მთლიანად სამხედრო განყოფილებაზეა გაწეული. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯების გეგმა დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 199.7 % -ით. (დაზუსტებული 210 ათ.ლარი , საკასო შესრულება 209.3 ათ.ლარი) აქედან პოლიციის საქმიანობასთან და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გეგმა შესრულდა 117 %-ით.(გეგმა 65 ათ. ლარი, საკასო შესრულება 74.9 ათ.ლარი, რაც მთლიანად კაპიტალურ ხარჯს შეადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ხარჯების გეგმა შესრულდა 93% -ით. (გეგმა 145 ათ. ლარი, საკასო შესრულება 134.5 ათ. ლარი)

აქედან მუხლობრივად: შრომის ანაზღაურების ხარჯების გეგმა შესრულდა 100%-ით (გეგმა 26.7 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი 26.7 ათ. ლარი), მივლინების ხარჯების 100%-ით (გეგმა 2.8 ათ.ლარი, ხარჯი 2.8 ათ. ლარი) ოფისის ხარჯების 100%-ით (გეგმა 4.2 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი 4.2 ათ.ლარი), ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის ხარჯები 100%-ით (გეგმა 5.2 ათ.ლარი, ფაქტიური ხარჯი 5.2 ათ. ლარი), სხვა ხარჯების 96.2%-ით (გეგმა 8.1 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი 7.8 ათ. ლარი).

ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ხარჯების გეგმა შესრულდა 90.2%-ით (გეგმა 365 ათ. ლარი, საკასო შესრულება 329 ათ. ლარი) აქედან სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობის ხარჯების გეგმა შესრულდა 91 %-ით (გეგმა 19 ათ. ლარი, საკასო შესრულება 17.3 ათ ლარი), რაც მთლიანად სხვა ხარჯების მუხლით არის გაწეული. ტრანსპორტის ხარჯების გეგმა შესრულდა 100.5 %-ით (გეგმა 310 ათლარი, საკასო შესრულება 311.7 ათ. ლარი).

საბინაო კომუნალური მეურნეობის ხარჯების გეგმა შესრულდა 102.8 %-ით (გეგმა 1895.8 ათ ლარი, საკასო ხარჯი 1948.3 ათ. ლარი), რაც მთლიანად სუბსიდირებიდან არის გაწეული. მათ შორის კომუნალური მეურნეობის ხარჯების გეგმა შესრულდა 99 %-ით (გეგმა 131 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 129.7 ათ. ლარი), წყალმომარაგების ხარჯების 100 %-ით (გეგმა 605.3 ათ. ლარი, შესრულება 605.1 ათ. ლარი), გარე განათების 98 %-ით (გეგმა 165 ათ. ლარი, ხარჯი 162.5 ათ. ლარი), ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმა შესრულდა 97.1 %-ით (გეგმა 1082 ათ.ლარი, ხარჯი 1051 ათ. ლარი).

ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების გეგმა შესრულდა 107.7 %-ით (გეგმა 61 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 65.7 ლარი).

დასვენება კულტურა და რელიგიის ხარჯების გეგმა დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 97.5 %-ით (გეგმა 503 ათ. ლარი, საკასო ხარჯი 489.2 ათ. ლარი).

განათლების ხარჯების გეგმა შესრულდა 99 %-ით (გეგმა 978 ათ. ლარი, შესრულება 967.4 ათ.ლარი).

სოციალური დაცვის ხარჯების გეგმა შესრულდა 151.3%-ით (გეგმა 88.5 ლარი, ფაქტიური ხარჯი 133.9 ლარი).

წლის განმავლობაში რაიონის სხვადასხვა საწარმოების მიერ მუნიციპალიტეტის გამგეობასთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე შესრულებულია 2693 ათ.ლარის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით შესრულებულია 2266.4 ათ.ლარის სამუშაოები, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 426.6 ათ.ლარის. აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე არ ჩატარებულა ტენდერი, რადგანაც საქართველოს მთავრობის 2008 წლის 27 ივნისის №444 და 14 მარტის №125 დადგენილებებით ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროექტებზე ნება დაერთოთ მუნიციპალიტეტებს სამუშაოთა შესყიდვა განახორციელონ ერთ პირთან მოლაპარაკებით. ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სამუშაოებს არ ჭირდებოდა ტენდერი ან კოტირება რადგანაც კონკრეტულად შესარულებელი სამუშაოთა მოცულობა არ აღემატებოდა 50 ათ.ლარს. შესრულებულ სამუშაოებზე რაიონის გამგებლის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ წარმოდგენილია სათანადო აქტები. შესრულებული სამუშაოები ჩაბარებულია მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

2008 წელს ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში საშტატო რიცხოვნობა დამტკიცებული იყო 132 საშტატო ერთეული, ფაქტიურთან შედარებით სხვაობა არ ფიქსირდება. ორგანიზაციულ ჭრილში ხელფასის ფონდი დამტკიცებული იყო 559.5 ათ.ლარი, (გათვალისწინებული იყო ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების კვალობაზე პრემია ერთი თვის ხელფასის ოდენობით) დაზუსტებული ბიუჯეტით სახელფასო ფონდი შეადგენდა 521 ათ.ლარს, ფაქტიური ხელფასი დაზუსტებულთან შესაბამისობაშია.

შემოწმებულ იქნა თვითმმართველობისა და წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ გაწეული ხარჯების კანონიერება. ხარჯები ჩამოწერილია სათანადო ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონთან შესაბამისობაში.

/იხილეთ დანართი №1 ორ ფურცელზე/

შპს „აუდიტ-მსტრა“-ს

აუდიტორი:

დირექტორი:

/სოსო ზარძუა/

/ლევან ზარძუა/